დანართი 24

დამტკიცება: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს
დადგენილება #03, 10/01/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისი
2024

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ეს დებულება განსაზღვრავს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში – უნივერსიტეტი) ძირითადი ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის - ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ფუნქციებს, სამსახურის სტრუქტურას, სამსახურის უფროსისა და თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებს.
2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო სტანდარტების და საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, ამ დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
3. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური (შემდგომში - სამსახური) ექვემდებარება პრორექტორს ადმინისტრაციის დარგში, პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

მუხლი 2. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ფუნქციები

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური:

ა) ახორციელებს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესის პროგრამულ და ტექნიკურ უზრუნველყოფას.

ბ) ზრუნავს ინფორმაციული სისტემების და სერვისების უსაფრთხოებაზე;

გ) ახორციელებს უნივერსიტეტის პროგრამული ბაზის მოწყობას, ლოკალური და გლობალური პროდუქტების დანერგვისა და სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის პოლიტიკას;

დ) საჭიროებისამებრ შეიმუშავებს სათანადო პროგრამულ პაკეტს და უწევს მას შემდგომ მომსახურებას მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით;

ე) უზრუნველყოფს მომხმარებლებელთა ტექნიკურ მხარდაჭერას (ფიზიკური და ქსელური დაზიანებების აღმოფხვრა).

ვ) ახორციელებს არსებული უსაფრთხოხების სისტემების ადმინისტრირებასა და მონიტორინგს.

ზ) აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევისას, ახორციელებს ტექნიკური პარამეტრების ურთიერთშედარებას, განხილვას, მონაწილეობს მომწოდებელი კომპანიის შერჩევისა და შეკვეთის პროცესში;

თ) ნერგავს ახალ ტექნოლოგიურ სერვისებს;

ი) ახორციელებს ახალი ტექნიკისა და ლიცენზიების შეძენის შეთავაზებების მიღება/დადასტურებას;

კ) კორდინირებას უწევს IT-სთან დაკავშირებულ პროექტების მართვას;

ლ)ახორციელებს ინფრასტრუქტურის მონიტორინგს და პრობლემების პროაქტიულ აღმოფხვრას;

მ) აორგანიზებს და კონტროლს უწევს სერვერებზე არსებულ მონაცემების სარეზერვო კოპირებას;

ნ) ახორციელებს უნივერსიტეტში არსებულ ტექნოლოგიური სერვისებისა და ტექნიკის ღირებულების ანალიზს, შეფასებას, რისკების განსაზღვრასა და მენეჯმენტთან ინიცირებას;

ო) ახორციელებს მომხმარებლების დისტანციურ მხარდაჭერას (პროგრამული პრობლემების მოგვარება);

პ) ზრუნავს ინფორმაციული სისტემების, სერვერების და ქსელის ადმინისტრირებაზე, ასევე მათ უსაფრთხოებაზე;

ჟ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას იღებს ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესში;

რ) ახორციელებს დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

2. მოცემული მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციები შესაძლებელია, უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულოს გარე კომპანიამ.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და მართვა

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის შემადგენლობაში შედიან:
ა) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;
ბ) დეველოპერი;
2. სამსახურის თანამშრომელს, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად ადმინისტრაციის დარგში პრორექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. სამსახური უშუალოდ ექვემდებარება პრორექტორს ადმინისტრაციის დარგში და ანგარიშვალდებულია მის წინაშე;
4. სამსახურში მიღებისას, თანამშრომელთათვის წარსადგენ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, აუცილებლობის შემთხვევაში განსაზღვრავს რექტორი.

მუხლი 4. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს სამსახურის უფროსი.
2. სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მიიღება უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მუშაობის მინიმუმ 2 (ორი) წლიანი გამოცდილება.
3. უფროსი გეგმავს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია მის ეფექტურ მუშაობაზე.

მუხლი 5. სამსახურის უფროსის ფუნქცია-მოვალეობები

1. სამსახურის უფროსი:
ა) შეიმუშავებს და კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის პროგრამული განვითარების სტრატეგიას;
ბ) ვალდებულია რაციონალურად გაანაწილოს შესასრულებელი სამუშაო მის დაქვემდებარებაში არსებულ ადმინისტრაციულ პერსონალზე და გააკონტროლოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი;
გ) სამსახურის უფროსი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს შესაბამის წინადადებებს ადმინისტრაციის დარგში პრორექტორთან განსახილველად;
დ) პერიოდულად ისმენს სამსახურის თანამშრომელთა პერსონალის ანგარიშს, მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
ე) უნივერსიტეტის პრორექტორს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის სტრუქტურის, საშტატო ერთეულების, ფუნქციების, პერსონალის მიმართ წახალისების, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების თაობაზე;
ვ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.
ზ) ახორციელებს ახალი პროგრამული სერვისების დანერგვას;
თ) მართავს და კოორდინირებას უწევს სისტემურ განახლებებთან დაკავშირებულ პროექტებს;
ი) ინფორმაციული სისტემების და სერვისების უსაფრთხოებაზე ზრუნვა.

კ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესში;
ლ) პრორექტორს ადმინისტრაციის დარგში წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული წლიური საქმიანობის შესახებ;
მ) სამსახურის საქმიანობის სრულყოფილად და უწყვეტად განხორციელების მიზნით ასრულებს უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული სხვა ფუნქცია-მოვალეობებს.

მუხლი 6. დეველოპერის ფუნქცია-მოვალეობები

1. დეველოპერის საქმიანობის მიზანია საკომუნიკაციო და საინფორმაციო სერვერების და მასზე გაშვებული სერვისების გამართულად და შეუფერხებლად მუშაობა.
2. დეველოპერის ფუნქცია-მოვალეობაა:
ა) უნივერსიტეტის დომენური სახელების (პირველადი და მეორადი) ადმინისტრირება და გამართული მუშაობა;
ბ) დისტანციური სწავლების Moodle/Smart სერვისის გამართული მუშაობისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
გ) უნივერსიტეტის კუთვნილ დომენურ სახელებზე დაფუძნებული ვებ-გვერდების უსაფრთხოება;
დ) ვებ-გვერდებისათვის საჭირო მონაცემთა ბაზების უსაფრთხოება, ადმინისტრირება და გამართული ფუნქციონირება;
ე) სერვერებზე არსებული ვებ-გვერდების, ფაილების, მონაცემთა ბაზების პერიოდული სარეზერვო კოპირების უზრუნველყოფა;
ვ) სამსახურის საქმიანობის სრულყოფილად და უწყვეტად განხორციელების მიზნით უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული სხვა ფუნქცია-მოვალეობების შესრულება.
ზ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.
3. დეველოპერის თანამდებობაზე მიიღება მინიმუმ საბაკალავრო საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, რომელსაც აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მუშაობის მინიმუმ 1 (ერთ) წლიანი გამოცდილება.
4. დეველოპერი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის წინაშე.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მიღებისთანავე;
2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად;
3. ცვლილებებს განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის მმართველი საბჭო.
4. სამსახურის დამატებითი ფუნქციები შესაძლებელია განისაზღვროს უნივერსიტეტის სხვა ნორმატიული დოკუმენტებით;
5. წინამდებარე დებულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს პრორექტორი ადმინისტრაციის დარგში.